ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №109

2015 წლის 30 სექტემბერი

ქ. ქუთაისი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის შეცვლის მიზნით, სპეციალური /ზონალური/ შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12^2 მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილების მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1

ქალაქ ქუთაისში შემოღებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის შეცვლის მიზნით, სპეციალური /ზონალური/ შეთანხმების მოსაკრებელი, რომელიც არის ადგილობრივ ბიუჯეტში აუცილებელი გადასახადი.

მუხლი 2

დადგინდეს მოსაკრებლის ზღვრული ოდენობა, შემდეგი გაანგარიშებით:

$X= L/K_2*(K_2^1 – K_2)*S$, სადაც:

ა) X არის მოსაკრებლის ოდენობა;

ბ) L არის 1 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი;

გ) K_2^1 არის მიწის ნაკვეთისათვის სპეციალური /ზონალური/ შეთანხმების საფუძველზე მისანიჭებელი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი;

დ) K_2 არის მიწის ნაკვეთისათის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი;

ე) S არის სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართი.

მუხლი 3

მოსაკრებლის ოდენობა ნამატი სამშენებლო ფართობის ერთ კვადრატულ მეტრზე გაანგარიშებით, არ უნდა აღემატებოდეს 400 /ოთხასი/ ლარს.

მუხლი 4

მოსაკრებელი გადაიხდევინება მშენებლობის ნებართვის გაცემისას.

მუხლი 5

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — დავით დვალი